მთის მცირე მდინარეთა ჩამონადენის გაანგარიშება მდინარე ენგურის აუზის მაგალითზე

გიორგი თაქთაქიშვილი

ელ-ფოსტა: giorgi.taktakishvili551@ens.tsu.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი,

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

ი. ჭავჭავაძის გამზ. 3, თბილისი, 0179, საქართველო

საქართველო წყლის რესურსებით მდიდარი ქვეყანაა, ჩვენი ქვეყანა მსოფლიოში მტკნარი წყლის რაოდენობით „მოწინავე პოზიციებზეა". მტკნარი წყლის რესურსები საქართველოში წარმოდგენილია მდინარის ჩამონადენით, მიწისქვეშა წყლებით, მყინვარების, ტბების, ჭაობების და წყალსაცავების წყლებით. ამასთან წყლის მოხმარება ყოველწლიურად იზრდება, რადგან დროთა განმავლობაში იზრდება მოსახლეობის რაოდენობა, უმჯობესდება მისი ცხოვრების დონე, მაღლდება სანიტარულ-ტექნიკური და საყოფაცხოვრებო პირობები. გარდა ამისა ფართოვდება მრეწველობა, რომელიც მიუხედავად ტექნიკური პროცესების სრულყოფისა და დამზოგი ტექნოლოგიების დანერგვისა, დღემდე წყლის უდიდესი მომხმარებელია. არანაკლებ მოთხოვნებს უყენებს წყალს სოფლის მეურნეობა, რომელიც მას მოიხმარს როგორც სასმელად, ასევე მეცხოველეობის განვითარებისათვის და ირიგაციის თვალსაზრისით.

მიუხედავად წყლის რესურსების რაოდენობისა, ქვეყნის ტერიტორიაზე ისინი არაპროპროპორციულადაა განაწილებული, შესაბამისად არაპროპორციულია მათი მოხმარებაც. წყლის რესურსების გამოყენება სხვადასხვა სახისაა, აღმოსავლეთ საქართველოში მათ ძირითად მოხმარების მიმართულებას სოფლის-მეურნეობა წარმოადგენს, ხოლო, დასავლეთ საქართველოში ენერგეტიკა.

ქვეყნის ენერგეტიკული პოტენციალი ეკონომიკის სამომავლო სიძლიერისა და სტაბილურობის გარანტია. უდიდესი ენერგიკული პოტენციალი იმალება მთის მცირე მდინარეებში, შესაბამისად მათი კვლევა და ჩამონადენის შეფასება სამომავლო პერსპექტივისთვის მნიშვნელობანია.

ნაშრომში განხილულია მდინარე ენგურის ზემო წელის პირველი რიგის შენაკადები, რომლებიც ძირითადად ზღვის დონიდან 1000 მეტრ სიმაღლეზე ზემოთ უერთდებიან მდინარე ენგურს და წარმოადგენენ მთის მდინარეებს. გამოთვლილია ამ მდინარეთა აუზების მორფომეტრიული მახასიათებლები და შეფასებულია მდინარეთა საშუალო, მაქსიმალური და მინიმალური ხარჯები, რაც მნიშვნელოვანია მათი სამომავლო გამოყენებისათვის.